ტფილისი

№ 135
ივნისის 28, პარასკევი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 135
ივნისის 28, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს ექვს მანეთად. (6. მ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

საკერავი მაშინები
ნამდვილი „ზინგერისა“
ძმ. რ. და მ. ედელსონისა და მ. კუპერმანის
სკლადში იყიდება სხვა-და-სხვა ფაბრიკების მაშინები ტფილისში, ნიკოლოოზის ხიდზე, №№ 7—8. ფასები გადაჭრილია. სკლადის განყოფილება იმყოფება: ბაქოში, ერევანში, ალექსანდროპოლში და მიხაილოვში. (3—365—3)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.
კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ **რონინაშვილისეულ ფოტოგრაფიისთვის**, რომელიც ღირს-ქმნილია უმაღლეს იმპერატორებრივ ჯილდოსი, მოწვეულია ახალი გმგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავისს დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველდღე ღია არის დილის 9 საათიდგან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოვება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (10—10)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**
სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები
მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.
მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიძი.
(6—21)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა
სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰქრავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა № 12.

ვექილი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა
ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.
ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—7)

ისყიდება ვერაზედ
სამ-სართულიანი სახლი, რომელსაც ბანკის ვალიცა აქვს.
ვერაზედვე, სათავად-აზნაურო სკოლის შენობის გვერდით, ისყიდება მამული, დაყოფილი ნაჭრებად, თითოეული 100, 200 და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. პირობათა შეტყობა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში.
(10—7).

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის გამგეობა“ ამით აცხადებს, რომ კვირას, ამ წლის 30 ივნისს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია:
ა) წინა წლების ანგარიშების დამტკიცება;
ბ) 1902 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის? ალრიცხვა;
გ) გამგეობის მოხსენება განსვენებულ გ. ე. წერეთელთან დადებულ პირობის შესახებ;
დ) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის პირობის § 10-ის შეცვლის შესახებ;
ე) გამგეობის, სარედაქციო და სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევა;
ვ) ახალ წევრთა მიღება. (3—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ქ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.
ზ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ზ. ვ. მალალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.
ა. გ. მალალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
კვირაობით:
ზ. ვ. მალალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოც-და-თხუთმეტი (55) ვაკანსია არის: ორმოცი (40) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და თხუთმეტი მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

55 ვაკანსიიდან—46 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის, ექვსი პანსიონში თავიანთ საკუთარ ხარჯზე (წელიწადში ოცი თუმანია გადასახადი) და 2 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

საზოგადოების სრულს ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს, 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 23—27 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28-ში მეორე განყოფილებაში მისაღები ეგზამენები. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1902—1903 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც. (10—4)

ტფილისი

◆ ბ-ნ ტაბლიაშვილის საქმე, დანიშნული გუშინ, 26 ამ თვისას, ტფილისის ოლქის სასამართლოში გასარჩევად, გადადებულ იქმნა, რადგანაც ერთი მოწმეთაგანი, ქ-ნი შახნაზაროვისა, არ გამოცხადდა. მისი ჩვენება-კი მოსამართლეებმა აუცილებელ საჭიროებადა სცნეს საქმის განხილვისათვის. ტაბლიაშვილს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ჰბრალდება განზრახვა დედათა გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფის მოკვლისა იმ მიზეზით, რომ ქალი არ გაჰყვა ცოლად ტაბლიაშვილს.

◆ მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ქალაქის გამგეობამ მიჰმართა გუბერნატორს თხოვნით, ნება მოგვეცით ჩვენის საქონლის მწყემსნი შევაიარაღოთ ბერდანკის სისტემის თოფებითაო. გუბერნატორმა უპასუხა, რომ ამის ნება-რთვა თვით სამხედრო მინისტრისაგან უნდა ითხოვოთო, ხოლო რამდენადაც მე ვიცი, მაგისთანა თხოვნას მინისტრი არ აკმაყოფილებსო; ამიტომ გუბერნატორი ურჩევს გამგეობას, მწყემსებს ისევ რომელისამე სხვა სისტემის თოფები დაურიგეთ და არა იმ სისტემისა, რომელიც ჯარსა აქვს დარიგებულიო.

◆ კვირას, 30 ივნისს, ბ-ნი ე. ხელაძე დღესასწაულობს თავის სტამბის დაარსების 30 წლის შესრულების დღეს.

◆ 21 ივნისს ტფილისის საბაღოსნო სკოლის შეგირდებმა სკოლის უფროსის ივანოვის ხელმძღვანელობით დაათვალიერეს საუფლისწულო ღვინის სარდაფი ვერაზედ. მეორე დღეს შეგირდები და წევრნი საექსკურსიო კომისიისა და წარმომადგენელი სამეურნეო საზოგადოებისა სულთან-ყირიმ-გირეი გაემართნენ გორს. იქიდან ავიდნენ ატენს და დაათვალიერეს იქაური ვენახები. შეგირდებს აუხსნეს, როგორ სწამლობენ ვაზებს შაბიამანის სხურებით და გოგირდის შეფრქვევით. ატენიდგან ექსკურსანტები ციციშვილების ტყეში ავიდნენ ჯამჯამის მთაზედ, საიდგანაც მშვენიერი სანახავები მოსჩანდა. აქ შეგირდებმა პევრი ისიამოვნეს და სთქვეს სიმღერები რუსულად და ქართულად. უკან დაბრუნებისას, საღამოზე, დაათვალიერეს ვენახები სკოლის შეგირდის ბესტავაშვილისა, ნახეს მისივე მარანი და მოისმინეს განმარტება იმისი, თუ როგორ აყენებენ ქვევრებში ღვინოს. იმავე შეგირდმა ექსკურსანტები მიიწვია ვახშმად და ჩინებულად გაუმასპინძლდა. 24 ივნისს, კმაყოფილი შეგირდები დაბრუნდნენ ტფილისს.

◆ კახეთს გაემგზავრა კომისია, რომელმაც შუა-მთის მონასტერი უნდა ჩააბაროს ყოვლად-სამღვდელო ბენიამენს, ხოლო ალავერდის ტაძარი და თეთრ-გიორგის ეკკლესია ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის. კომისიაში არიან: არქიმანდრიტი ლეონტი, დიდუბის მღვდელი კალ. ცინცაძე და დეკანოზი მიხ. ხელაშვილი. ორი უკანასკნელი წევრი დანიშნულ იქმნენ ეგზარხოსის მიერ ილ. ფერაძისა და მღვდელ-მონაზონის პიროსის ნაცვლად, რომელთაც პატივ-სადებ მიზეზთა გამო უარი განაცხადეს ხსენებულ ტაძრებსა და მონასტერში წასვლაზე.

◆ 24 ივნისს, როგორც ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა გაჰყიდა საჯარო ვაჭრობით ის მამულები, რომლების პატრონებმაც არ შეიტანეს დროზედ გარდასახადი. გაყიდულ მამულთა შორის მოჰყვა ქუთაისის მამული გოგოლაშვილისა. გოგოლაშვილს გარდასახადი ფული დეპეშით გამოუგზავნია 24 ივნისს დილის ექვს საათზედ, ბანკმა-კი ფული მიიღო საღამოს 8 საათზედ, როდესაც მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უკვე გათავებული იყო. ის არ ერჩივნა საწყალს გოგოლაშვილს, რომ დილა ადრიან თითონ წამოსულიყო მატარებლით. ნაშუადღევის პირველ საათზედ უკვე ბანკში იქნებოდა. რაც უნდა დაეგვიანა მატარებელს, რაიცა ასე ხშირია ჩვენს რკინის გზაზედ, მაინც მოასწრობდა ფულის ჩაბარებას ბანკში ნაშუადღევის 5—6 საათამდე. მოდით და ენდეთ ამას იქით ჩვენში დეპეშას.

◆ საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო სკოლათა საოლქო მეთვალყურე მ. ვოსტორგოვი თვე-ნახევრით აპირებს რუსეთში გამგზავრებას... „საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბის“ რედაქტორის თანამდებობის აღსრულება მან თავისს მაგივრად ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწეს ვ. მ. დობროგაევს მიანდო.

◆ რუსულ გაზეთების სიტყვით, ტფილისის ქალაქის კასის გამტეხნი მოსკოვში შეუპყრია პოლიციის. სულ დაპატიმრებულნი სამნი არიან: პეტრე გროსმანი, კირილე საუენკო და ვანკა ბელენკი, „პინია შუსტრ“-ად წოდებული. პოლიციას გაუჩხრეკია ისინი და აღმოსჩენიათ ბლომად ობლიგაციები ტფილისის ქალაქისა. მაშასადამე, ტფილისში მომხდარი ქურდობა უეჭველად ამათი ნამოქმედარი უნდა იყოსო.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში 26 ივნისს მოხდა საჯარო ვაჭრობა სოფლის იმ მამულების გასაყიდად, რომლების პატრონებმაც არ შეიტანეს ვადაზედ შესატანი გარდასახადი. დანიშნული იყო გასასყიდად 9 მამული, ამათში გაიყიდა მხოლოდ ოთხი:

სახელი, გვარი და მაზ. თავ. ვალი შესატან. რამ. გაიყ.
ტფილისისა:

ციციშვილისა მ. დ.	2211—52	96—34	1804
გორისა:			
სალარიძე ა. ა.	1068—30	51—41	1140
ყიფიანი ა. მ.	1738—65	67—12	2015
თარხნიშვილი გ. ი.	3956—53	187—97	4215

დარჩა გასაყიდათ ნ მამული. მათი გასყიდვა დანიშნულია 13 ივლისს. აი ეს მამულები:

ტფილისისა.			
მაჭავარიანი	15418—90	3443—33	—
გორისა:			
მურვანიშვილი ი. ზ.	5319—83	116—67	—
თელავისა:			
ჭავჭავაძე მ. დ.	5073—53	172—18	—
ყარალ. და ჭავაჭვ. შორაპ. მაზ.	14880—98	801—35	—
ხატისოვი გ. ს.	981—72	41—77	—

მოკლე-ვადიან სესხით დაგირავებულ მამულების ვაჭრობა დანიშნულია დღეისათვის.

✦ 19 მაისს შესრულდა თხუთმეტი წელიწადი მას აქეთ, რაც აწინდელი იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი ბერად აღიკვეცა.—ამ შემთხვევის გამო ბ-ნი ზაქარია ჭიჭინაძე აპირებს წიგნაკის გამოცემას ყოვლად-სამღვდელოს სურათითურთ წიგნაკი უკვე ნება-დართულ იქმნა სასულიერო ცენზურისაგან.

✦ სამგუბერნიო ადმინისტრაციას შეუმუშავებია ახალი წესდება სასოფლო ქსენონებისა, რომლებიც ინახებიან გლეხთა საზოგადოების ხარჯით. აქამდის ქსენონის გამგებლობა ევალებოდა ექიმს, რომელსაც ებარებოდა საოჯახო ნაწილიც ქსენონისა, ხოლო ქსენონის შესანახი ფული პოლიციას უნდა მოეკრიბა ხალხში, რაც ხშირად თავის დროზე და რიგზე არა სრულდებოდა, რის გამოც ქსენონი და თვით ექიმიც ბევრჯელ უფულოდ ისხდნენ.

ახალის წესით-კი ქსენონის გამგებლობა უნდა გარდაეცეს ამორჩეულ ადგილობრივ კომიტეტს, რომელიც ქსენონის ყოველ ხარჯს უნდა განაგებდეს და ზრუნავდეს მისს კეთილდღეობაზედ, გარდა, რასაკვირველია, საექიმო ნაწილისა, რომელიც ექიმის ხელთ იქნება. („ცნ. ფურ.“).

✦ ტფილისის თვით-მმართველობას, როგორც გაზ. „კავკაზ“-ს გაუგონია, უარი მოსვლია, პოლიტეხნიკუმის დაარსების ნებართვის მიცემა სამთო და სამეურნეო განყოფილებით მიწათ-მოქმედების და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ სცნა შესაძლებლადაო.

✦ ამავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის თვითმმართველობა შუამდგომლობს მთავრობისა წინაშე, ნება მოგვეცით საშუალო 8 კლასიანი სამექანიკო-სატეხნიკო სასწავლებელი დავაარსოთ ავლაბარშიო.

ჩვენებური ამბები

წიგნების გამომცემელმა ქუთათურმა ამხანაგობამ ძლივს გამოიღვიძა და მხნედ შეუდგა თავის საქმეების გამოკეთებას. ჯერ ისევ შარშან მისწერა წერილები ჩვენს მწერლებს და სთხოვა მიეწოდებინათ თავიანთი ნაწერები დასაბეჭდათ. წლის განმავლობაში დაჰბეჭდა სამი წიგნი: გრ. აბაშიძის ლექსთა კრებული, ი. გოგებაშვილის „კონა“ და ძმ. გრიმების ზღაპრები. ამ გაზაფხულზედ ითხოვა ნება და ააგო კოხტა კიოსკი ქუთაისის ბაღში წიგნების საყიდლად. ამ ჟამად ამხანაგობას რამდენიმე წიგნი აქვს მომზადებული დასაბეჭდად. ამხანაგობა ჰფიქრობს დაბეჭდოს ცალკე წიგნად, სხვათა შორის, სხვა-და-სხვა დროს დაბეჭდილი წერილები ბ-ნის მაიაშვილისა (გ. ზდანოვიჩისა) ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

—

ბათუმი. საუფლისწულო უწყება აპირებს გააფართოვოს თვისი ჩაის პლანტაციები ჩაქვში. უნდათ 500 დესეტინამდე შემოფარგლონ ადგილი ამ აზრით. თითოეულ დესეტინაზედ იქნება 7000 ჩაის ბუჩქი, რომელიც იქ მშვენივრად ხარობს.

—

ქუთაისი. წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკის კურთხევა, ქალაქის ბაღში, ამხანაგობისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ცოტა გვიანდება.

—

სოფ. ოზაანი (სიღნაღის მაზრა). 18 თიბათვეს, ღამის 11 საათზედ, მიუცვივდა სახლში შვიდი შეიარაღებული ყაჩაღი მღვდელს იოსებ იაშვილს. ერთი მათგანი ყარაულად დასდგომოდა ეზოში მწოლარე მოსამსახურე ბიჭს, დანარჩენნი-კი ატუზულიყვნენ სახლის ფანჯრებთან. ახლად ჩაძინებულს მღვდელს მალე გაეგო, რომ ყაჩაღები არიანო, შიგნიდგან დაეძახნა მათთვის ხმა-მაღლივ: ვინა ხართო. ყაჩაღებს მუქარით გაეჩუმებინათ მღვდელი, ხმა მაღლა ნუ ჰყვირიო და მოეთხოვნათ, ჩქარა, რაც რამ ფული გაქვს, ფანჯრიდგან გადმოგვაწოდე, თორემ კარებს (ფანჯრები დარკინულია) შემოვამტვრევთ, თქვენც დაგხოცავთ და ფულსაც წავიღებთო. თავზარ-დაცემულს მღვდელს აეღო, რაც რამ ფული ჰქონოდა სახლში, რამდენიმე კიდევ ვერცხლის ნივთი და მიეწოდებინა დაუპატიჟებელ სტუმრებისათვის. შეშინებული მღვდელი და მისი მეუღლე თუმცა ბევრს უძახოდნენ გარშემო მეზობლებს, მოგვეშველეთო, მაგრამ რადგან სახლი ცოტა სოფლის განაპირას იმყოფება და მთელი სოფელი კალოებზედ არის გაკრებილი, ვერავისთვის ხმა ვერ მიეწვდინათ. ყაჩაღები, შემდეგ გადასულიყვნენ მახლობელ სოფელში, სულუკაანში, იქ გაეტეხათ ერთი სახლი,—პატრონი შინ არა ყოფილიყო, და წაეღოთ მანდილოსნების ტანისამოსი.

—

ბათუმი. უკუღმართ ვარსკვლავზედ დაიბადაო, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენს „ბათუმის მუშათა არტელზედ“ ითქმის! 28-ს წარსულ მაისის თვისას სტაროსტა ი. მგელაძემ აღგვითქვა რამდენსამე წევრს—ამ მოკლე ხანში მოსაწვევ ბარათებს დავამზადებინებ სტამბაში და წევრთა კრებას დავნიშნავო, მაგრამ აგერ თვე თავდება და ჯერ კიდევ არას ფიქრობს საქმისთვის.

ბ-ნი მგელაძე შარშან ძალა-უნებურად იქნა არჩეული არტელის სტაროსტად მაისში ერთის წლის ვადით; ამ ხნის განმავლობაში თვეში 50 მანეთ ჯამაგირს იღებს და ეხლა, რადგან იცის, რომ წევრთა კრება უსათუოდ გამოსცვლის, არ ნიშნავს კრებას, რა არის,—ის ტკბილი ლუკმა—50 მანეთი—კიდევ იჯიბაოს რამდენიმე თვე...

უკეთუ ამ მოკლე ხანში ბ-ნმა მგელაძემ არ მოიწვია არტელის საზოგადო კრება, მაშინ იძულებული ვიქნებით მივმართოთ ბათუმის [illegible] მმართველს, რომ ბ-ნ მგელაძის უკანონო თვით-ნებობა თანახმად წესდების §§—72, 68, 53, 42, 34 და 30 მუხლების ძალით აილაგმოს.

—

22-ს ამ ივნისს, როგორც იქმნა როტშილდის ქარხანაში მუშაობა დაიწყო. ახალი გამგე ქარხნისა ძალიან სიყვარულით მოჰკიდებია ქარხანაში ძველ მომუშავე ხალხს, ბევრი რამ შემწეობა აღუთქვამს: ქირის მომატება, 10 საათი მუშაობა, ჯარიმის მოსპობა, წამლობა, აბანო და სხვ. მუშებიც ძალიან გახარებულნი არიან და მუყაითად მოჰკიდეს ხელი სამუშაოს. ამ საქმეში კარგი შრომა მიუძღვის თავად ლევან გურიელს, რომელიც დარიგებას და ძმურს რჩევას აძლევდა მუშებს.

—

ივნისის 20-ს კოკის პირული წვიმა მოვიდა და ისე აგრილდა, რომ თბილი ტანისამოსი ჩაიცვა ხალხმა. მას აქეთ სულ სიგრილეა, და ამ სიგრილემ, ცოტა არ იყოს, ხელი შეუშალა ბათუმელ ტარიელ-ნესტან-დარეჯანებს, რომელნიც შუაღამისას, ტრფობის ალით დამწვარნი, სულ განაბულნი შეჰყურებენ შავი-ზღვის ტალღებს... ვინ არის ეს ტარიელები ან დარეჯანებიო იკითხავთ? მოგახსენებთ: ტარიელები აქაური ბათუმელი „კავალერებია“, დარეჯანები-კი ჩრდილოეთით ჩამოსულნი, „დამები“, რომელთა რიცხვმა ძრიელ იმატა აქაურს სასტუმროებში.

—

აქაურ სამიკიტნოებს ბედმა გაუღიმა: როტშილდის ქარხნის მუშებმა, რაკი მიიღეს ფული, მიაშურეს სამიკიტნოებს და,—ხომ მოგეხსენებათ, ქართველები ღვინის სმაში ნაქებნი არიან,—თავმომწონეთ მიაძახებენ მიკიტნებს: „დუქინი სვირისა“ წითელი, ორი „დუქინი სვირისა“ მწვანე, სამი „დუქინი ცარსკი“ ლუდი, შემწვარი ქათმები, სუკი!.. თან დაფა-ზურნა, არღნები აჰყრიალეს... და ქეიფს მიჰყვეს ხელი! ამდენ ხანს ეს მიკიტნები ამ მოქეიფე მუშებს, რადგან საქმეზედ არ იდგნენ, ერთი აბაზისას არას ენდობოდნენ, ეხლა-კი, რაკი გაიგეს, რომ სამუშაო აქვთ, დუქინობით მიართმევენ ღვინოს და სხვა ხორაგს. ღვინისაგან ჰკუა-არეულს მუშას ავიწყდება თავის ოჯახის გაჭირვება: მამა, დედა, ცოლ-შვილი და თუ რამე ფული აუღია,—რომლითაც ერთ თვეს ოჯახს შეინახავდა,—ერთ დღესა ჰფლანგავს.

—

ჩარჩებმა თავიანთ ნოქრებით დიდი ხანია მიაშურეს აბრეშუმის პარკის საყიდლათ გურიაში, იმერეთში და სამეგრელო-აფხაზეთში, როგორც ამბობენ, დიდ-ძალი აბრეშუმის პარკი უყიდნიათ და ეხლაც ყიდულობენ თურმე. ან რატომ არ იყიდან? საქმე გაჩარხული აქვთ. აქაური ბანკები „ტფილისის საკომერციო ბანკი“ და „სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკი“ ფულს სესხად აძლევენ მათ და, რასაკვირველია, ბლომათ პარკის ყიდვას შესძლებენ. ჩვენ, ქართველობა-კი, გულ-ხელ დაკრეფილი შევყურებთ მათ!..

ჩვენდა საუბედუროდ, „ტფილისის სამეურნეო ბანკი“, რომლის მმართველები ყველანი ქართველები არიან, ჩვენს თხოვნა-მუდარას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ! კიევში დაარსებულმა ბანკმა აქ, ბათუმში, გააღო განყოფილება და წარმოებაშია, ჩვენმა სამეურნეო ბანკმა-კი ტფილისიდგან ბათუმში ვერ გამოგზავნა თავისი კაცი, რომ გაიცნოს აქაური საქმეები და მცოდნე კაცებისაგან, რომელნიც თანაუგრძნობენ ბანკს, შეჰკრიბოს ცნობები საგენტოს დაარსებისათვის. დაუდევრობაა ეს ბანკის მმართველობის მხრივ, მაშ რა არის?!. რამდენი წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“, საიდგანაც სჩანს, რომ საზოგადოება თხოულობს სხვა-და-სხვა ადგილას საგენტოების დაარსებას, მაგრამ მმართველობამ კრინტიც არ დასძრა და პასუხი არავინ გასცა... ისეთი საღებ-მიცემო ადგილი, როგორიც ბათუმია, თუ არ აინტერესებს ტფილისის სამეურნეო ბანკის გამგეობას, მაშ რომელმა ადგილმა უნდა მიიქციოს მისი ყურადღება ქართველობისათვის დასახმარებლად და ხელის შესაწყობად?

სპირიდონ ხვიჩია,

—

ქუთაისი. 24 ივნისს, საბჭოს კრებაზე იურისტებისაგან შემდგარმა კომისიამ საბოლოვოდ დაამტკიცა ინჟინერის მიხაილოვის მილის წყლის საქმე. კაბინეტური დავა ხელშეკრულობის გამო ამგვარად კომისიამ დამთავრებულად იცნო, ხოლო საქმე ახლა მისი პრაქტიკულად შესრულებაზეა. აქ-კი ვნახოთ, რამდენად პირიანი გამოდგება ქალაქის კონტრაგენტი. 25 ამ თვიდგან იგი უკვე შეუდგა არქიელის გორაზე საავუზე ადგილების ზომვას.

ამ თვის 24 საბჭოს კრებაზედვე გადაწყდა, ხმოსნის პ. თუმანიშვილის წინადადებით, ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს, რომ ქუთაისზე გამოიაროს კავკასიის რკინის გზის მეორე ლიანდაგმა, რომელიც ყვირილიდგან სენაკამდე გაჰყავთ. ამის გამო კავკასიის რკინის გზების უფროსთან მოსალაპარაკებლად საბჭომ ამოირჩია: დ. ა. ლორთქიფანიძე, ს. ნ. ლორთქიფანიძე (წინამძღოლი), პ. ა. თუმანიშვილი და ფოთის ქალაქის თავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე.

უეჭველია, ქუთათურთა ეს დიდის ხნის სანატრელი საქმე დღეს მაინც მისდა სასარგებლოდ დაბოლოვდება და მოძულებულ ნაბოლარასავით წრეს გარეშე დარჩენილი ქალაქი იმერეთის შუაგულისა სხვათა თანა უფლების გათანასწორებას მოესწრება.

—

ბაღდადის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა). 23 ივნისს დაათავა რევიზია მათმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა სვირის სამღვდოჩინოს ეკკლესიებისა; აქ დაჰყო სულ ორი კვირა. ყველგან ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მღვდელ-მთავარს და დიდის სიამოვნებით ისმენდა მის მიერ წარმოთქმულ გრძნობით სავსე სიტყვებს. უმეტესი ნაწილი ეკკლესიებისა მათმა ყ.-უს. მოიწონა; განსაკუთრებით მოიწონა ს. ხანის ეკკლესია და ს. როდინაულისა. დანგრეული, დაძველებული და მასთან ძლიერ პატარა ეკკლესიები იძულებული იყო დაეკეტა და ამ საზოგადოებათ მისცა წინადადება ახლები აეგოთ. დაკეტილ იქმნა ეკკლესიები: შუბნის, როკითის, ზედა-დიმის, ცხენთაროსი, სვირის (ძველი ხის ეკკლესია) და ობჩისა. ამ უკანასკნელ სოფელში სამი ეკკლესია არის; ერთში წირვა შეწყვეტილია, რადგანაც ახალ ეკკლესიას აგებენ, მეორე თუმცა აუცილებლად უნდა დაკეტილიყო, რადგანაც შეკეთებას მოითხოვს, მაგრამ არ დაკეტილა, რადგანაც ხალხმა მოახსენა მღვდელ-მთავარს—ერთი თვის განმავლობაში დავიწყებთ განახლებასაო. დაკეტილ იქმნა აგრეთვე ეგრედ წოდებული „ხოპის ეკკლესია“, შესანიშნავი ისტორიული ნაშთი.

ამ ათი წლის წინად სოფ. ობჩაში დაიწყეს ახალის ქვის შენობის აგება და საძირკველი კიდეც ჩაჰყარეს. 50 კომლმა, სოფლის სასამართლოს მახლობლად მცხოვრებმა, მოინდომა ცალკე ხის ეკკლესიის აგება სამინისტრო სკოლის მახლობლად, რისთვისაც ადგილი კიდევაც შეიძინეს. დანარჩენ 220 კომლს შეეძლო განეგრძო აგება დაწყებულის ტაძრისა, მაგრამ ჯიბრი გაუწიეს განდგომილებს, ასტეხეს საჩივარი და ორივე ეკკლესიის შენება შეჩერებულ იქმნა. ეხლა-კი იმედია, თუ ორივესი არა, ერთის შენება მაინც დაიწყება. სვირის ორ-კლასიან სასწავლებელში ბავშვების გამოცდა 10 ივნისს გათავდა. აქვე გაიმართა სალიტერატურო დილა 14 ივნისს და, 15-ვე ბავშვები დათხოვნილ იქმნენ. 220 მოწაფეთაგან სწავლა გაათავა 16-მა და მიიღო შესაფერი მოწმობა. მომავალ სამოსწავლო წლისათვის თავისუფალი ადგილი დარჩა მხოლოდ 20. სასწავლებელში შემოსვლის მსურველთა რიცხვი-კი ეხლავე ავიდა 40-მდე, და თუ სვირელებმა ერთი მასწავლებელი კიდევ არ მოუმატეს, ყველა მთხოვნელების შვილების მიღება სკოლაში შეფერხდება. 20 ივნისს ს. ობჩაში მცხოვრებ აზნაურის ქაიხოსრო ჯაფარიძის სახლებს შუადამისას ცეცხლი გაუჩნდა. ვერაფერი ვერ გადაარჩინეს: დაიწვა ორი დიდი სახლი ყოველისავე ავეჯეულობით. ზარალი 5,000 მანეთამდეა. ამბობენ, სახლები თურმე საზოგადოებაში ჰქონია დაზღვეულიო.

შარშანდელმა სიმინდის ცუდმა მოსავალმა წელს გვაცნო თავი: ბევრს სიმინდი შემოაკლდა და დღეს ბათმანი (ოყა) ღირს 60 კაპ... ეს-კი ამ 20 წლის განმავლობაში იშვიათი მაგალითია. სვირის საგურის მახლობლად ყანებს რაღაც ჭია გაუჩნდა და სიმინდს აოხრებს. ჭია აბრეშუმის ჭიის მაგვარია.

ფელეტონი

სიმონა ბღუჯიაშვილის თავ-გადასავალი

(სურათები წარსულის ცხოვრებისა)

VI

(შემდეგი *)

ორის საათის შემდე, მზემ თავი ამოჰყო და ოქროს ფრად გაანათა ქვეყანა. მიძინებულმა ბუნებამ გამოიღვიძა და დაიწყო ყოველმა სულმა მოძრაობა საზრდოს მოსაპოებლად. ფრინველნი ეცნენ ტყე-ღრეებსა და დაიწყეს თავისუფალ ჰაერში ტკბილი ხმით გალობა. გლეხმა მუშებმა მიჰმართეს მინდორ-ველებსა. ხელოსნებმა გააღეს სახელოსნოები და გაზაფხულისგან გაცოცხლებულთ ყველამ გაიჩინა საქმე.

ამ დროს ბორჯომის ქვემოდამ, სადაც მეტივეების სატივე იყო, ვეგდე მე ტივების ახლო მტკვრის ნაპირას და ვიყავი ბურანში, მოქანცული სირბილისაგან და დასუსტებული შიმშილისაგან. აღარ შემეძლო ფეხზე ადგომა და ვიდევი ცოცხალ-მკვდარი კუნძივით უგრძნობლად. ცოტა ხანს უკან წამოუბერა ბორჯომის ხეობიდამ დილის სიომ და გონება-დაკარგულს ოდნავ შემომაყარა მტვრის წინწკლები, თითქოს უნდათ მომაკვდავს სიცოცხლე დაუბრუნონო. ამ გრილმა დილის ნიავმა და მტვრის წინწკლებმა თითქო მართლა გამაცოცხლეს, გამოვახილე თვალები და დავინახე სამი კაცი, რომელნიც ტივზე ისხდნენ და პურსა სჭამდნენ. პურის დანახვაზე ამეძრა საშინელი შიმშილი და დავაპირე ადგომა, მაგრამ ვერ შევძელ. ამ დროს აქ შემნიშნა ერთმა მეტივემ და მოიხედა უცებ ჩემკენ.

— კაცო, იქ რა წევს მობღუნძული? —ჰკითხა მან თავის ამხანაგსა და მოახედა ისიც ჩემკენ.

— ჰოო... მართლა კაცო!—აბა მიდი ნახე, მგონი ბავშვია,—უპასუხა მეორემ იმის კითხვაზე და დასაქმა მესამე.

მესამე ამხანაგი წამოდგა და წამოვიდა ჩემკენ.

— ვინა ხარ, ბიჭო, შენა, აქ რას აკეთებ?—მკითხა იმან, წამამაღლა თავი თუ არა და დამიწყო ნჯღრევა ასაყენებლად.

მე წამოვიწიე და მუხლები არ ამყვა.

— პატარა პური მაჭამეთ, შენი ჭირიმე, ძია, ლამის მოვკვდე შიმშილითა,—წამოვილუღლუღე ძლივს იმის კითხვაზედა და შევაცეცე თვალები ხელებში, რომელსაც პურის ყუა ეჭირა ხელში და იღმურძლებოდა.

— ადე, შვილო, წამო, რა დაგემართა? პური ამდენი გვაქვს, რო...—მითხრა გლეხმა კაცმა შებრალების კილოთი და დამიჭირა ხელი.

მე წამოვიწიე კიდევა და როგორც იყო ბარბაცით გავყევი, თითქო დამთვრალი არისო, მუხლები ისე მიკანკალებდა შიმშილითა.

— საწყალს პური მოშივნია ძრიელა,—უთხრა გლეხმა კაცმა თავის ამხანაგებსა, მიმიყვანა თუ არა და დამსვა თავიანთ გვერდზე.

— აი, კაცო, ახალი გამომცხვარი პური, რამდენიც უნდა სჭამოს, პური ღვთისაა.

— ჰამე, შვილო,—მითხრეს იმათაც იმავე შებრალების კილოთი და გადმამიწყეს წინ პური.

მე მგელივით დავეწყე პურს ჭამა. სიჩქარით ყელზე მადგებოდა, რის გამოც იძულებული ვიყავ წყალი მალ-მალ დამეტანებინა ზედა.

ცოტა ხანს უკან მომეცა ლონე ლაპარაკისა და დამიწყეს გლეხებმა კითხვა ვინაობისა.

— ვისი შვილი ხარ, შვილო, აქ რამ მოგიყვანა?—მკითხა ერთმა გლეხმა, რაკი შემატყო, რომ მუცელს უკვე ბოძი მივეცი.

მე რაკი დიდ ცოდვილათა ვრაცხდი თავსა, განვიზრახე თავის სრულიად დამალვა.

— მე, ძიავ, ობოლი ვარ,—ვუპასუხე.

— სადაური ხარ, შვილო?

— ოსეთიდანა ვარ, ძიავ.

— ოსი ხარ განაა? ქართველს-კი გევხარდა!

— არა, ქართველი ვარ, მაგრამ პატარა წაუყვანივართ იმათ.

— მაშ, ოსური კარგად გეცოდინება?

— როგორ არა, კარგად-კი არ ვიცი, მაგრამ ათ ხაბიზგინა ყირმიზის-კი ადვილად ვიტყვი.

— აქ რაღამ მოგიყვანა მერე?

— ქალაქში მინდოდა წასვლა და ვიფიქრე ტივებს გავყვები-მეთქი.

— ქალაქში ვისთან მიდიხარ, შვილო, გყავს ვინმე ნაცნობი?

— ერთი ოსი არის პოვრათა, დაკო ჰქვიან, იმასთანა.

— კვლავაც ყოფილხარ, შვილო, ქალაქში?

— როგორ არა, მაგრამ ტივით-კი არ მივლია.

— ეხლა რაღათ მოგინდა მერე ტივით წასვლა?

— იმიტომა, რომ გზის ფული არა მქონდა.

— აი ტივი, შვილო, წამოდი, სულ ერთია, ჩვენ ხომ მივდივართ.

პატარა ხანს უკან აუშვეს ტივი და წავედით სამნი, რადგან ერთი ამხანაგი იქვე დარჩა სხვა ტივების შესაკრავად.

VII

შუა დღე მოტანებული შეიქმნა და ჩვენი ტივი უკვე მშვიდობიანად და უვნებლად გასცდა ნახევარ გზას. ხოლო ტფილისამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი გვქონდა გასავლელი, მერე ბევრგან დიდად სახიფათო. აღელვებული მტკვარი ონავრობდა და შურდულივით მიაქანებდა ჩვენს ტივსა და მისი შეყენება შეუძლებელი იყო. მარჯვე, ფრთხილ კაცის ხელს უნდა ემოქმედნა შორიდანვე გაფრთხილებულის თვალით, თორემ ყოველ წუთს თვალწინ უდგა ტივზე მყოფს უეცარი ხიფათი. ამიტომ ორი ამხანაგი მეტივე იდგნენ ტივის თავსა და ბოლოში და ერთგულად და მარდად უსვამდნენ ორთაყვირებსა, რომ არ დასჯახებოდა ან კლდეს ან ხიდის ბურჯსა და ისე ასცილებოდნენ სახიფათო ალაგებს. ხოლო როცა ტივი მდორე წყალს მიეცემოდა, მაშინ გულ-დამშვიდებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს თავის მეტიობასა და ერთობოდნენ ბაასითა, რომ ძილი არ მოჰრეოდათ.

— ისევ გაზაფხულზე სჯობია, ძმავ, წყალდიდობას, ტივების ზიდვა, ჰხედამ ხელად რამოდენა გზა გამოგვატარა,—უთხრა ერთმა ამხანაგმა მეორეს.

— ეჰ, ძმავ, გაზაფხულზე სჯობია, მაგრამ ხიფათიც ბევრი აქვს წყალ-დიდობასა,—უპასუხა ამოოხვრით მეორემ, რომლის სახეც ამ სიტყვასთან კიდეც დაიღვრიმა, რადგან მოაგონდა, რომ შარშან-წინ დაეხრჩო უფროსი ძმა სწორედ ამ ალაგას მტკვარში.

— მაშ, ის კარგია, რომ თვითო გზას თვითო კვირა უნდებით ხოლმე? აი, ძმავ, თან გვიან წამოვედით, თან ადრე ჩავალთ, მზიურა.

— არც ის არის კარგი, რომ შენი ცოლშვილი უპატრონოდ და ობლად გაუშვა. ემანდა, შარშან-წინ არ იყო, ჩემი ძმა ჩავარდა აი აქა და კინაღამ მეც დევიხრჩე იმის დევნაში. ეხლაც იმის ცოლ-შვილი მე მაწევს კისერზედა. ამ ალაგას რომ მოვატანთ ხოლმე, ასე მგონია გუშინ იყო-მეთქი, ისე წამომიდგება ხოლმე თვალ-წინა.

— ეჰ, ძმავ, რაც კაცს შუბლზე უწერია, ის გადაჰხდება ყველასა. ალბად იმასაც ის ეწერა და გადაჰხდა.

— მაშ, კარგი, შენ ნუ გაუფრთხილდები თავსა და წერა გიშველის! ეგ არის!

— განა, არ გაფრთხილდა და იმიტომ ჩავარდა?

— რა ვუყოთ, რომ გაფრთხილდა.

— მა რაღას ამბობ?

ამ ლაპარაკში ტივმა მიატანა „დათვის თავას კლდესა“.

— აუქციე, კაცო, მარცხნივა, ხომ ხედამ „დათვის თავასთან“ მივედით,—შესცვალა— უცებ ლაპარაკი პირველმა და დაუწყო ორთაყვირს ოსმა.

ამ დათვის ხსენებაზე უცებ მოვიხედე უკან გულ-გახეთქილმა. ასე მეგონა, მე რომ დათვმა მომიტაცა, ის დათვი გამოჩნდა-მეთქი.

ამ დროს ტივი ოდნავ გაეხახუნა კლდეს, რომელიც მართლა დათვის თავივით იყო გამოშვერილი წყალში, და ამიტომ დათვის თავი დაერქმიათ იმისთვის მეტივეებსა.

პატარა ხანს უკან, მივუახლოვდით „ღორი-კბილებასა“.

„ღორი-კბილებას“ კლდე, ნაჭერ-ნაჭერ წვეტებად იყო გამოშვერილი, და წყალი პირდაპირ ზედ კლდეს ეხლებოდა. აქ მეტივეე მარგილივით მაგარი, გრძელი კეტი უნდ ჰქონოდა მზათ, რომ დაჯახების დროს ცა ლი წვერი კეტისა ხის ამოჭრილში ჩაედო, რომ მეორე წვერის შემწეობით, რომელი გეზად მიებჯინებოდა, ტივი კლდეს ასცდენიყო ჩვენი მეტივეები ასეც მოიქცნენ და გავცდი „ღორი კბილებას“ კლდესაცა.

„ღორი-კბილებას“ შემდეგ, მივატანეთ „კა ცი-ჭამიასა“. აქ-კი მართლა საშინელი სახი ფათო გზა იყო გასავლელი, და „კაცი-ჭამიასაც“ იმისთვის ეძახდნენ, რომ ბევრჯელ ბევრი კა გი ვაჟკაცი დაეღუპა და შეეჭამა ამ ალაგ შიგ შუა მტკვარში იყო მაღლობი კლდ ბორცვი, წყალი ზედ ბორცვზე გადადიოდ და ჩახეთქებით ჩაჰქუხდა შიგ თავისგნით ჩა მულ ღურღუმში, თითქო უნდა გააპოს შუ პოვარი ძირის კლდე და ქვესკნელში ჩაიღ პოსო, მაგრამ ალბად თითქო იმის-და მეტ ლოდ დაყენებული კლდე უფრო ძრიელი იყო, რომ მაღლე მისგან ოტებული კლდე უ ბრუნდებოდა და საშინელის ღრიალით ის

---

*) იხილე „ივერია“ № 130.

მოშავო; სჭამს სიმინდის ფურცლებს აბრეშუმის ჭიის სისწრაფით. არც ღვინოა იაფი: ანდე (12 ფუთი) ფასობს 40—60 მან.

აბრეშუმის ამოხვევას უკვე შეჰყვეს ხელი და წელს მაინცა და მაინც მის მოსავალს არავინ ემდუროს. ზოგს წუხდა იმის მიზეზით, რომ საკვები ვერ უშოვა. ყურადღების მისაქცევია ის მოვლენა, რომ თუმცა აბრეშუმის მოყვანამ იმატა, მაგრამ თუთის მოშენებას ვერ მისდევენ.

24 ივნისს უნდა შემდგარიყო წლიური საზოგადო კრება სვირის სამეურნეო საზოგადოებისა, ნაცვლად 22 თებერვლის, რადგანაც კრება არ შესდგა ცუდის ამინდისა და წევრების კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. დღესაც კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა. ამისათვის ხელახალი კრება დანიშნულია 31 ივლ., დილის 9 საათისათვის.

თორნიკე.

—

ახალ საფოსტო გზის მართვა-წარმოება ბათუმიდან ახალციხემდე გადაეცათ ბ-ნ ჩერნოვისათვის 12 წლით. თან პირობა ჩამოურთმევიათ, რომ ამ 4 თვეში ააგოს სადგურებისათვის საჭირო შენობანი და მიმოსვლა გააჩაღოს ეტლებისა.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუუქმებია ქუთაისში ცალკე სახელოსნო საზოგადოების და მის მმართველობის არსებობა. ხელოსნებმა გადასწყვიტეს, რაც რამ ქონება და ფული აქვთ, გადასცენ ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობას, რომ დახარჯოს ეს ქონება და ფული ხელოსანთა და სახელოსნო მრეწველობის საჭიროებათათვის.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტროს შეუმუშავებია გეგმა წესნი სააგარაკო ადგილებზედ შენობათა აგებისათვის შავის ზღვის პირად ქუთაისის გუბერნიაში. ეს ის სააგარაკო ადგილებია, რომელთაც კერძო კაცთ ურიგებს ხაზინა.

კავკასია

პიატიგორსკი: აგერ თვეზედ მეტია, რაც დაიწყო აქ საზაფხულო სეზონი. დღითი-დღე მატულობს ხალხი და მხიარულება. ზამთარში მიძინებული აქაური მიდამონი იღვიძებს და არის ერთი ფაცი-ფუცი და ჟრიამული.

ღვთის-წინაშე ავკაცობამაც იმატა თანდათან. ჯიბგირები და სხვა-და-სხვა ჯურის აფერისტები მრავლად გაჩნდნენ. „სკანდალებიც“ იშვიათი არ არის. საზოგადოდ პოლიცია არ სცდილობს მხნედ ადევნოს თვალ-ყური ამ ხალხს და დაიცვას მშვიდობა და წესიერება.

—

ბაქო: 25 ივნისიდამ დაარსდა ბაქოს სადგურზედ სატელეგრაფო სკოლა, რომელშიაც მსურველთ შეუძლიანთ სატელეგრაფო ხელოვნება შეისწავლონ. სკოლაში ჯერ მხოლოდ 6 კაცია შეგირდათ.

—

იქიდანვე: „ძმათა ნობელების“ ამხანაგობის აქციონერებმა გადასწყვიტეს თავიანთ საზოგადო კრებაზედ დაურიგდეთ აქციონერებს თითო პაიზედ 750 მან. დივიდენდი.

—

ერევანი: ერევანში არსდება საბადოსნო სკოლა. შენობის აგებას წელსვე შეუდგებიან.

—

თემრიუკი (ყუბანის ოლქი): საშინელმა გრიგალმა და შემდეგ დიდმა სეტყვამ სულ მირეგვ-მორეგვა აქეთკენ ყანები, ბოსტნები და ყოველივე ნათესობა. დაზარალდა ცხვარიცა და სხვა საქონელიცა. მინდვრად გასული ხალხი ამ საშინელის სურათის დანახვაზედ სასოწარკვეთილებას მიეცა: ზოგი ტიროდა, ზოგი ლოცულობდა, ზოგი სწყევლიდა თავის მწარე ბედსა და გაჩენის დღეს.

—

„თერგის ოლქის სახალხო სკოლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას“ აზრადა აქვს დააარსოს ვლადი-კავკაზში სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსწავლე შვილებისათვის იაფ-ფასიანი საერთო საცხოვრებელი ბინა, საიდამაც შეეძლებათ სიარული კავკავის სასწავლებლებში.

—

გაზეთების სიტყვით, მაგარ სასმელების სახელმწიფო დუქნების დამართვას ბაქოს გუბერნიასა და საზოგადოდ ამიერ-კავკასიაში 1905 წლის 1 იანვრისათვის აპირებენ.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტროში დაუწყიათ ბჭობა, რომ მდ. ვისლის მხარეში მცხოვრებნი, რომლებიც ამერიკაში მიდიან დასასახლებლად, ამიერ-კავკასიაში გადაასახლონ.

რუსეთი

კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველად ნამყოფი კ. პ. იანოვსკი სწერს თავისს ავტობიოგრაფიაში, სხვათა შორის, რომ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ეგზამენებს, პირ-იქით, მავნებელიც-კია.

— უმაღლესად დამტკიცდა ახალი სავექსელო წესდება და ახალი კანონი ქორწინების გარეშე დაბადებულთა შესახებ.

უცხოეთი

ინგლისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ჟამად ბრიტანიის ახალშენების (რომელთაც თვით-მმართველობა აქვთ მინიჭებული) პირველ მინისტრთა შორის ბჭობა-თათბირია გამართული; მონაწილეობას ღებულობენ: ახალშენთა მინისტრი ჩემბერლენი, სერ ვილფრიდ ლორიე (კანადისა), სერ ე. ბარტონი (ავსტრალიისა), ჯონ სედონი (ახალ ზელანდიისა), სერ გორდონ სპრიგგი (კაპის ახალშენისა), სერ ალბერტო ჰიმი (ნატალისა) და რობერტ ბონდი (ნიუფაუნდლენდისა); ბჭობა საიდუმლოდ სწარმოებს და გაზეთებს არა აქვს საშუალება რაიმე აცნობონ მკითხველებს მის შესახებ.

— „Intrasigeant“-ი 28 თიბათვის თარიღით იტყობინება, რომ წინააღმდეგ ექიმთა ოპტიმისტურის ბიულეტენებისა, საზოგადოების უმაღლეს წრეებში არავითარი იმედი არა აქვთ მეფის მორჩენისაო. სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ სასახლეში სამგლოვიარო მზადებასაც-კი შეუდგნენო. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ პარიჟის ორი ფირმა პრინცესსებისა და სეფე-ქალთათვის შავების კერვას შეუდგაო.

საფრანგეთი. ყოფილ სამხედრო მინისტრს გალიფეს, რომელიც უკანასკნელ ხანებში ნაციონალისტებს მიემხრო და დიდი წინააღმდეგი გახდა სამხედრო ბეგრის ვადის შემცირებისა, სამხედრო კომისიის თავმჯდომარისათვის მიუმართავს წერილით, რომელიც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს.

გალიფეს სიტყვით, როცა ფრეისინემ თავისი კანდიდატობა გამოაცხადა აკადემიაში, ომალიის ჰერცოგსა სთხოვა დახმარება და სამაგიეროდ აღუთქვა, რომ 1) სამხედრო ვადის შემოკლებას წინააღმდეგობას გავუწევ, 2) ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ანტიკლერიკალურ პოლიტიკას ხელი შევუშალოთ და 3) ვეცდები გაძევებული პრინცები საფრანგეთში დავაბრუნოო.

— სასამართლოს მოხელეებს დაუპატიმრებიათ ვიღაც ჟორჟ პარმანტიე—ვექილ პარმანტიეს შვილი, რომელიც ადრევე შეიპყრეს. გაჩხრეკის დროს ჟორჟ პარმანტიეს აღმოაჩნდა 150 სხვა-და-სხვა საბუთი, რომელთაც ახლო კავშირი აქვთ ემბერის საქმესთან.

ავსტრია-უნგრეთი. ავსტრიისა და უნგრეთის გაზეთობა სულ სხვა-და-სხვა ნაირად ჰხსნის კერბერისა და სელლის მოლაპარაკების მნიშვნელობას.

ავსტრიის გაზეთობა, ჩვეულებისამებრ, მეტად ოპტიმისტურად უყურებს საქმეს. მათის აზრით, პრემიერთა შეთანხმება გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგან იმპერატორის მეცადინეობით ყოველივე უკმაყოფილება მათ შორის ბოლო მოეღო. ბჭობამ იმპერატორის თანადასწრებით მთელი ოთხი საათი გასტანა; განიხილეს ყველა თავი და თავი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა შეთანხმებას და, თუმცა საბოლოო გარდაწყვეტილებას ვერ დაადგნენ, მაგრამ მაინც შესამჩნევად წასწიეს წინ საქმე. გრაფ გოლუხოვსკის თანადასწრება იმის მომასწავებელია, რომ არც უცხოელ სახელმწიფოთა სავაჭრო ხელშეკრულობანი დაივიწყეს ამ ბჭობაზედაო. უნგრეთის გაზეთობა-კი მეტ სკეპტიკობას იჩენს: მართალია, რომ პრემიერებმა იმპერატორის სიტყვას ველარ გადუხვიეს და ძველის უთანხმოების დავიწყება აღუთქვესო. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი დაბრკოლება თავიდგან აიცილესო.

— ბევრი მითქმა-მოთქმა და გულის წყრომა გამოიწვია პოლონურ გაზეთებში იმპერატორ ვილჰელმის სიტყვებმა პანგერმანიზმის შესახებ. ამ უკანასკნელად სლავიანთა გაზეთობა ხმა-მაღლა უწოდებს თანამემამულეთ ენისა და ერის დასაცველად. «Parlamentär»-ის უკანასკნელ ნომერში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი: „Всемірная Германская имперія“.

„რა გინდ რომ ბევრი გვემეცადინა, რა გინდ რომ ბევრი აგიტატორები აგვეჩინა, ამბობს წერილის ავტორი, ჩვენ მაინც ვერ შევძლებდით ისეთის სიჩქარით სლავიანთა გამოფხიზლებას, როგორც ეს შესძლო გერმანიის იმპერატორმა პანგერმანიზმის ქადაგებით. ვილჰელმ პირველმა იმით მოიხვეჭა სახელი დიდისა, რომ თავის ხელქვეითთა—ბისმარკისა და მოლტკეს შემწეობით შეჰქმნა 1200 წლის განმავლობაში უკვე გაერთიანებულ გერმანელ თემებისა და სამთავროებისაგან ახალი ერთ-სული და ერთ-ხორცი პრუსია-გერმანიის იმპერია. ვილჰელმი მეორე ბევრად მაღლა სდგას პაპაზედ, ვინაიდგან, უეჭველია, შეუძლებელსა და თითქმის წარმოუდგენელს საქმესაც-კი მოახდენს: შეაერთებს და ერთის მიმართულების გზაზედ დააყენებს სლავიანთა! ნიჭიერნი და ძლევა მოსილნი გერმანელნი თვით დაძაბუნებულ სლავიანთაც-კი იძულებულ ჰყოფენ გამოფხიზლდნენ და თავიანთ დიდი საქმის განხორციელებას შეუდგნენ... მაშ, რასღა უნდა მოელოდნენ იგინი, თუ არ ახალ-რომის მონობას?

ავტორი მეორე წერილისა „სლავიანთა ინტელიგენცია“ მოუწოდებს ყველა ინტელიგენტ სლავიანთა: მღვდლებს, ექიმებს, ვექილებს, პროფესორებს, მეურნეებს, ვაჭრებსა და სხ., რომ შეერთდნენ და შეუდგნენ ეროვნულ ინტერესების დაცვას; წერილის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას იმ გარემოებას აქცევს, რომ უკანასკნელ ხანებში სლავიანთა მიწები გერმანელების ხელში გადადის და როგორმე ამ მოვლენას უნდა მოეღოს ბოლოო.

შეერთებული შტატები. როგორც იუწყებიან, ფილიპეს კუნძულებზედ მოკლე მომავალში საბოლოოდ დამყარდება მშვიდობიანობაო. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მალე გამოცხადდება პროკლამაცია, რომლითაც ყველა ტყვეები, მათ რიცხვში თვით აგვინალდოც, განთავისუფლებულ იქმნებიანო. პროკლამაცია, ალბად, 4 მკათათვეს (ახალ. სტ.) იქნება გამოცხადებული, რადგან ეს დღე წლის თავია შეერთებულ შტატების დამოუკიდებლობისა.

ოსმალეთი. ოსმალეთის საერო განათლების ახალმა მინისტრმა ჯელალ-ბეიმ განიზრახა, რომ იმპერიის ყველა სკოლებში ძირითადი ცვლილება მოახდინოს. ჯელალ-ბეიმ განათლება საფრანგეთში მიიღო და მისი ახალი პროგრამაც დიდად უახლოვდება საფრანგეთის სკოლების პროგრამებს. ხონთქარმა უკვე გამოსცა ირადე, რომლითაც ჯელალ-ბეის ახალი პროგრამები ნება-დართულია სკოლებში სახმარებლად.

პორტუგალია. 16 თიბათვეს აზორის კუნძულთა არხიპელაგში საშინლად აღმოუხეთქია ვულკანს. კაბელი (ზღვაში გაშვებული ტელეგრაფის მსხვილი მავთული), რომელიც აერთებდა კუნძულებს ფაიოსა და პიკოს, გაწყვეტილია. ოკეანის უფსკრულიდგან საოცარს სიმაღლეზედ ისროდა ვულკანი გახურებულს ვეება ქვის ნატეხებს. მიწის ძვრას ხმელეთზედაც გრძნობდნენ—ლისაბონში, მაგრამ ცუდი შედეგი არა მოჰყოლია-რა.

სამხრეთ-აფრიკა. გამოჩენილმა ბურების გენერალმა და მრავალმა ბურმა, რომლებიც ტყვეთ იყვნენ წმ. ელენეს კუნძულზედ, 30 თიბათვეს (ახ. სტილ.) ფიცი მიიღეს მეფე ედუარდ VII ერთგულობაზედ.

სხვა-და-სხვა წერილები

თამარ მეფის გამო

„ცნობის ფურცლის“ 1850 ნომერში სწერია შემდეგი: უწმიდესის სინოდის განკარგულებით კომისიას ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის თავმჯდომარეობით შეუდგენია სია ქართველთა წმიდანების სახელებისა. სხვათა შორის, მოთავსებულია სიაში სახელი თამარ მეფისა, რომლის სადღესასწაულო დღედ დადებულ იქმნება პირველი მაისი. ეს სია კომისიას ბ-ნ მოსე ჯანაშვილის დახმარებით შეუდგენია... უნდა ვაუწყოთ რედაქციას, რომ თამარ დედოფლის ხსენების დღედ ამას იქით დაწესებული კი არ იქნება პირველი მაისი, არამედ დიდი ხანია, რაც დაწესებულია ამ დღეს ხსენება ამ წმიდა მეფისა... თამარ მეფე არა თუ წმიდათა სწორად მიაჩნია ქართველ ერსა, არამედ მას ღვთის თანასწორად სთვლის (მთიულეთში)... ხალხს თამარ მეფე უკვდავათ მიაჩნია და, რა გასაკვირველია, რომ მის სახელისათვის შესაფერი პატივი ეცა. ძველად პირველ მაისს სრულდებოდა თამარის ხსენება... დღეს თუ არ სრულდება ეს ხსენება, რა გასაკვირველია?! ბევრი კარგი ჩვეულება მამა-პაპისა დავიწყებული გვაქვს... ჩვენი გულ-გრილობა მამა-პაპის სიწმიდეთა მიმართ ცნობილია. თუ არა ვცდებით, „Кавказскій Стѣнный Календарь“-მა დაიცვა ცნობა იმის შესახებ, რომ პირველ მაისს წმ. თამარ მეფის ხსენების დღეა... იმის წმიდანობას მოწმობს ის გარემოებაც, რომ მისი ხატი, ძველს დროში დახატული, დღეს ყოვლად-სამღვდელო კირიონის მეოხებით დაცულია ტფილისის სიძველეთ-საცავში იმ სახით, რომელიც წმიდანს შეჰფერის.

თ—ტელი.

—

საქართველოს ეკლესიის წმიდანების სახელები და მათ მოსახსენებლად დადგენილი დღეები *)

ქეთევანი	13 ენკენ.
იოსებ ალავერდელი	15 „

ამოჰქუხდა იქიდგან განრისხებული, თითქო ახლად უნდა გაბრაზებულმა ძლეულმა კვლავ ძალა მოიკრიბოსო, მაგრამ ისევე მალე ძლეული,—დუღილით ეშვებოდა თავქვე და ბუტბუტით ეცემოდა ყრუ მდუმარებას, თავის გზით დამშვიდებული.

ჩვენმა მეტივეებმა რაკი მიატანეს „კაცი-ჭამია“ კლდეს, დიდის სიფრთხილით დაუწყეს შორიდამვე ორთაყვირების მოსმა, და თუმცა საშინლად იზიდავდა ონავარი მტკვარი ღურღუმისაკენ, მაინც ბევრის ცდით, როგორც იყო, უვნებლად გაატარეს ტივი „კაცია-ჭამია“ კლდესთანაც.

გავცდით ამ ალაგსა მშვიდობით—აგრეთვე „ბარგი ყარიასაც“, სადაც ისევე საშიშია გავლა, „დანდლებიანსა“ და სხვათა მრავალთაც, რომელიც ბევრი აქვს შეუპოვარ მტკვარს და რომელთაც თავ-თავის შესაფერი სახელები აქვს დარქმეული მეტივეებისაგან. ჩვენმა მეტივეებმა დაიწყეს კვლავ ერთმანეთში ბაასი და ლაპარაკი დამშვიდებულის გულითა.

— რა ადვილად გავიარეთ, კაცო, ამ გზაზედა,—უთხრა ცოტა გახარებულის კილოთი ერთმა ამხანაგმა მეორესა.

— ღვთის ნება არ არი, ძმაო?! თუ იმას უნდა, ყველგან ადვილად გაგვატარებს,—უპასუხა მხიარულისავე კილოთი მეორემა.

— ბევრი კაცი-კი დაღუპულა ამ ვერანა „კაცი-ჭამიასთან“.

— დაღუპულაო რა! ბევრჯერ მომხდარა, ძმაო, რომ ტივი ველარ შეუმაგრებია მეტივესა და პირდაპირ თავდაყირა ჩაშვებულა შიგა, ზოგჯერ ისე ფინთად ჩაახეთქებს მაგ ვერანშია, რომა პირქვე მოემხობოდა ხოლმე ტივი. ამ ხუთი წლის წინად არ იყო, რომ ბერუაანთ ქეტა და შარებიაანთ გაბრუა დაიღუპა ამ „კაცი-ჭამიაში“! ოჰოო, რა საცოდაობა ვნახე მაშინა. მაშინ ახლად ვიყავი ტივების საქმეში შესული და, რო გენახა, ცოდვით დაიწოდი.

— როგორა ყოფილა ეგა?—თუ გახსოვს.

— თუ გახსოვსო? ჩემი თვალით ვუყურე იმათ საცოდაობასა და არ მეხსომება? მაგისთანა ამბავი თვალით ნახული განა დაავიწყდება როდისმე კაცსა? სიზმარშიაც-კი მეჩვენება ხოლმე ბევრჯერა.

— აბა, მაშ როგორ იყო, თქვი?

— აი, როგორ იყო: ჩვენი ტივი წინ იყო წასული და იმათი ტივი უკან მოგვდევდა. იმათ უკან კიდევ ერთი სხვა ტივი იყო დარჩენილი. ჩვენ რაკი გავცდით „კაცი-ჭამიის“ კლდესა, გავიტანეთ ტივი და დავაბით ნაპირას დასასვენებლად, პური უნდა გვეჭამა. ამ დროს შემოგვესმა უკანიდგან უცებ ხმაურობა. თურმე ორთა-ყვირი გასტეხოდათ და გაექანებინა ტივი წყალს „კაცი-ჭამიასაკენ“. პატარა ხანს უკან გამართეს ყვირილიცა: არიქა გვიშველეთო! მაგრამ ვის შეეძლო იმ ალაგას იმათთვინ შველა. ტივზე სამნი იყვნენ. რაკი შაატყეს, რომ ველარ შეაყენებდნენ,—შიში ძნელია,—ერთმა-კი შეჰბედა და მოასწრო გადახტომა, მაგრამ ორი პირდაპირ შიგ ჩაახეთქა და, რო გენახა, ისე ამოატრიალა და მოამხო პირქვე ტივი, გეგონებოდა, კაი ფალავანმა მოჰკიდავეს ფეხები ტყუპათ გადმოატაინაო. ორნი, რომელნიც ქვეშ მოჰყვნენ, დაიღუპნენ, მაგრამ მესამის წყალთან ბრძოლა რო გენახა, გაგიკვირდებოდა. კარგი გამბედავი ვაჟკაცი იყო და კარგი ცურაობაც იცოდა, თორე შენა თქვი, როგორღა გამოვიდა იმ ღურღუმიდგან? მაგრამ, წეღანაცა ვთქვი, ღვთისაგან რომ განწირული არ იქნება კაცი, ეგ არი. ეხლაც ტივებს ეზიდება ისა.

— უკან რომ ტივი იყო დარჩენილი, იმათ რაღა ქნეს?

— იმათ ბევრი იყოყმანეს, მაგრამ მეტი გზა არ იყო, ორთაყვირები კარგა გაამაგრეს და გვერდზე გამოატარეს.

— კარგია, ძმაო, ვბედავთ, მაგის შემდეგ და მოგვაქს ტივი.

— ეჰ, შე კაი კაცო, მა როგორა ვჭამოთ პური? შიმშილი ყველას გვაბედვინებს, ქალაქელი კრუა ფოდრაჩიკებსა ჰგონიათ, თავის თავათ კეთდებოდეს ტივი, და გროშზე გვევაჭრებიან, რა დიდი საქმე, უნდა, მტკვარი ზიდავსო და თქვენ ზედ არხეინად უსხედხართო.

— ერთი მობრძანდნენ, თვითონ დაუსხდნენ, მეტადრე ამ მზეში და, ვნახამთ, როგორც წამოაღებინებენ წყალსა.

ამ ლაპარაკში ტივი ოდნავ გაეხახუნა წყალში დამალულ ლოდებსა და გადაიარა ზედ რუხ-რუხითა.

— ბიჭო, აქ თხელი ყოფილა, მდოვრესკენ მიუწიე, თორე შედგება, ეს ოხერი,—შესცვალა უცებ ლაპარაკი მოპასუხემ და თან ორთაყვირს დაუწყო მოსმა მდოვრესკენ, მაგრამ მანამ მეორე ამხანაგი თავს მიაღებინებდა ღრმა წყლისაკენ, ტივმა ხელმეორედ დაიწყო უფრო მაგარი რუხ-რუხი და შედგა შიგ შუა წყალში ქვებზედა.

— აი შენ გაგავერნა და გაგატიელა ღმერთმა, კაი ალაგას შენ არ გაჩერდი, აჰაანდეე!..—დაიწყეს ჯავრობა მეტივეებმა გულ მოსულობით და ჯანჯღარი დაუწყეს ტივსა, ეგებ როგორმე დავძრათო, მაგრამ ტივი არ იძროდა და იყო ერთ ალაგას გაჩერებული.

— კაცო, ნაპირა მარქაფა ხე აუშვი, თორე ეს ვერანი აქედამ აღარ იძვრება,—სთქვა ერთმა და დაუწყო თვითონ ხსნა მეორე ნაპირის ხესა, სადაც გამოაბა გრძელი მაგარი ბამბის თოკი, რომელიც სულმუდამ თან ჰქონდათ ამ დღისთვის.

პატარა ხანს უკან, გაშალა ფრთებივით ტივმა თავისი ორი ნაპირის ხე და გასწია წყალმა საშინლად, მაგრამ ისე მაგრა იყო ტივი, რომელიღაც კლდეს მოდებული, რომ ვერ დასძრა ადგილიდან. მხოლოდ დააწყებინა ქანაობა საშინელის ძალით.

— ამ ვერანას დახე, აბა, თუ ღმერთი იწამოს, ეე!—სთქვა კიდევ გულ-მოსულმა მეტივემ, და თან ჩოხის კალთები შემოიკალთავა. აქ ჩახტა წყალში, რომელიც არ იყო იმ ალაგას ძრიელ ღრმა და დაუწყო ტივს, მაგარის კეტით წევა, მაგრამ ტივი მხოლოდ ქანაობდა და არ იძროდა კიდევ ადგილიდგან.

— ამო, ძმაო, ამო, წინა მარქაფა ხეებიც აუშვათ, ორივემ ერთად თორე, ხო ხედამ გაჯიქდა,—დაუძახა ზემო ამხანაგმა, წყალში მდგომარესა და დაუწყო თვითონ ხსნა წინა ათის ხის ნაპირა ხესა.

მეორე ამხანაგი ამოვიდა მთლად გალუმპული და ახსნა იმანაც მეორე ნაპირის ხე.

მალე წინა ათმა ხემაც გაშალა ფრთასავით თავისი ორი ნაპირის ხე და გასწია ტივი საშინლად, ისე რომ დაიწყო ბროწიალი. აქ უცებ გაწყდა წნელები, რომლითაც იყო გადაბმული ერთმანეთზე ტივი, და წაიღო წყალმა წინა ათი ხე ორივე მეტივეთი. ხოლო უკანა ათი ხე, რომელზედაც მე შევრჩი, დარჩა ისევ წყალში გაჩერებული.

მე აქამდინ გულ-გრილად ვუყურებდი იმათ ფაცა-ფუცსა, მაგრამ ახლა, რაკი მარტო დავრჩი, უცებ დავაღე პირი და ზმუკუნით დავუწყე ყურება გულ-გახეთქილმა წასულს ტივსა, რომელსაც მეტივეები სწრაფად უსვამდნენ ორთაყვირებსა და ეძებდნენ ნაპირს გასაყვანად, მაგრამ, საუბედუროდ, ნაპირი არსადა სჩანდა მისაყენებელი და ყველგან ამართულ კედელივით კლდეები იყო იმ ალაგას მტკვრის ნაპირებზედ. ბოლოს მოეფარნენ შორს მოხვეულში და აღარა სჩანდნენ. ახლა-კი ამიჭრელდა თვალები და გავაბი ჩემი ბავშვური, საშინელის ხმით განწირული ყვირილი, მაგრამ ჩემი ხმა არავის ეყურებოდა და მხოლოდ მტკვრის შუილი და ამართული მდუმარე კლდეების დაყუდება აძლევდა ჩემ ხმას ბანსა. მართლაცა-და, საშინელი იყო ჩემი მდგომარეობა: აქეთ-იქით გაჩუმებული მაღალი კლდეები, იქ ძველ დროის გამოქვაბულებიდგან თითქო გამოეყოთ რაღეებსაც თავი და უძრავად გაჩუმებულნი დამყურებდნენ თავსა, თითქო მავნე სულებიაო. ჩემ ქვეშ საშინელი, მშფოთარე წყალი იყო, რომელიც შუილითა და გრგვინვით მირბოდა თავქვე, თითქო გამოჰკიდებია ვისმესა და მისდევს ღრიალითაო. აქა-იქა ქოჩ-ქოჩანებიდგან, სადაც ქაფი მოეგდო ზემოდგან წყალსა და ატრიალებდა ჩემს თვალში, თითქო რაღაებსაც ამოეყოთ მაღლა ხელები და აპარტყუნებდნენ. აქ უცებ გამოშტერებულს, ბურანში მყოფს თითქო მომეჩვენა დამხრჩვალის ბებრის გვამი და მე უნებურად მოვებღაუჭე ორთაყვირსა. ამ ორთაყვირის განძრევაზედ, უცებ დაიძრა ნახევარ ტივის მოშორებით შემსუბუქებული ტივი და წაიღო წყალმა. მე თუმცა თვალ-წინ წარმომიდგა უეჭველი დახრჩობა, როგორც წასულ ღამეს თვით მე დავახრჩე საცოდავი ბებერი, მაგრამ, მაინც სული ტკბილია, და როგორც წინადაც ვსთქვი, სიცოცხლეს ბრძოლა უნდაო, რაც შემეძლო, გონება დაუკარგავად ვებღაუჭებოდი მაგრა ტივსა, რომ ამ დროს ტივი მიაგდო წყალმა ერთს ბორცვსა. ეს ბორცვი განაპირას იყო ამოშვერილი. ბორცვმა ტივი ყურთუკულმა შეატრიალა. აქ უცებ მიებჯინა ტივის ცალი თავი ნაპირის კლდესა და გაიხიდა გარდი-გარდმო. წყალმა მჩქეფრად დაიწყო ზემოდგან დენა და მეწეოდა გადასატანად, მაგრამ, რა-კი ვნახე, რომ ტივი გაჩერდა, საჩქაროდ დავიწყე ხოხვა და გავცოცდი გალუმპული ნაპირას, თავში. აქ ძლივს მოვასწარ ტივიდგან გადასვლა, რომ წაიღო ტივი ისევ წყალმა, და მე დავრჩი ნაპირის მოლიპულს კლდეზე მობღაუჭებული, სადაც არსად გასავალი გზა არ იყო და სადაც ონავარის მტკვრის ტალღები მეტანებოდნენ და და მეწეოდნენ თავის მრისხანე ღურღუმებში დასანთქმელად.

(შემდეგი იქნება.)

---

*) უმაღლეს მთავრობის მინდობილობით, ყ-დ სამღვდელო დიმიტრიმ, ალავერდის ეპისკოპოსმა და ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარმა მარკოზ ტყემალაძემ შე-

ძმანი ისაკ და იოსები	16	„
ბიძინა, ელიზბარ და შალვა	18	„
რიფსიმე და გაიანე	30	„
დავით და კონსტანტინე არგვეთელები	2	ოქტ.
გრიგოლ ხანძთელი	5	„
ნეოფიტე ურბნელი	28	„
კონსტანტინე მთავარი	10	ნოემბ.
გიორგი მთავარ-მოწამე	10	„
გობრონ (მიქელ)	17	„
ილარიონ-ქართველი	19	„
აბიბოს ნეკრესელი	29	„
ისე წილკნელი	2	ქრისტ.
პეტრე მაიუმელი	2	„
აბო ტფილელი	8	იანვ.
წმ. ნინო	14	„
სალომე და პეროჟავრა	15	„
ანტონი მარტმყოფელი	19	„
დავით აღმაშენებელი	25	„
ცხრათა ძმათა კოლაელთა	22	თებერ.
სუქია მესუკეველი	15	„
თამარ მეფე 1)	1	მაისი
იოანე ზედაზნელი მოწაფითურთ	7	მაისი
სტეფანე ხირსელი		
ზენონ იყალთოელი		
თადეოზ სტეფანწმინდელი		
ისიდორე სამთავნელი		
პიროს ბრეთელი		
მიქელ ულუმბელი		
შიო მღვიმელი	9	„
ევთვიმე მთარგმნელი	13	„
არჩილ II იბერიისა და ლუარსაბ II ქართლისა	21	ივნისს
იოანე (აბულბერი)	14	„
გიორგი მთაწმინდელი 2)	27	„
იოანე ექვთიმეს მამა	12	ივლისს
გაბრიელ ათონელი		
კვირიკე 3)	15	„
ესტატე მცხეთელი	29	„
რაჟდენ ნიქოზელი	3	აგვის.
შუშანიკა (შუშანა)	29	„
დოდო და ლუკიანე	46	დღე აღდ.
დავით გარეჯელი	47	„ „
შალვა თორელი 10,000 მხედრებითურთ	18	სექ.
ილია დიაკონი	7	მაისს
სიდონია, აბიათარი	1	ოკტ.
მირიანი და ნანა დედოფალი	6	აგვ.
დიმიტრი თავდადებული	12	მარტი
ვახტანგ გორგასლანი 4)	30	ნოემბ.
შიო ახალი და ხუთნი ძმანი	2	ივლ.
ნესტავი (ნესტან) 5)	24	აპრ.
დარია (დარეჯანი) 6)	14	ოკტ.
ათანასე ათონელი	4	იანვ.
გურანდუხტ 7)	3	ივლ.
დავით და ტარეჭანი (ძმანი) 8)	18	მაისს
იოანე პალავრელი	26	ივლ.
თორნიკე	12	ივნ.
ბაგრატ პონტელი	29	ივნ.
უფლისა 9)	5	აპრ.
ღვთისა 9)	5	იანვ.
ნერსე პატრიარქი	1	ივლ.
იოანე მტბევარი 10)	—	
დონარ დედოფალი	30	ივნისს

ადგინეს ეს სია ქართველ წმიდანებისა და ნეტარ მამებისა. ამგვარივე სიები მოუთხოვნიათ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების მღვდელ-მთავართაგან. ვბეჭდავთ ტფილისურს სიას, რადგან, სასურველია, რომ ყველა ქართულ სიებში იყოს ერთგვარობა და თანხმობა. ქართულ სახელების დარქმევა, თითო-ოროლას გარდა, აღკრძალული ჰქონდა ჩვენს სამღვდელოებას. მაშასადამე, რაც სრული იქნება ესეთი სიები, მით უმეტეს მადლობას დაიმსახურებენ მათნი შემდგენელნი. რუსებს აქვთ ასრეთი სახელები: **Свѣтлана, Милица, Богданъ** და სხ. ამგვარივეა ჩვენებური: ნათელა (დედა გიორგი ბრწყინვალისა), აბეშურა, წყალობა, ღვთისავარ, მზებაბუკ, ყვარყვარე (=Любовь), ზეიადი ანუ აზოჲ (=ბერძ. ზოია), ლიპარიტ (ბერძ. ესპერ), რუსა ანუ რუსუდან, გივი=გივარგი=გიორგი=გიო, ხვარამზე, ხვარემან, მზექალა და მსგავსი მათი **Драга, Блискона, Аполлонъ** და მებრი).

რედ.

---

1) ბულგაკოვის „წმიდათა სიაში“ თამარ მეფე მოხსენებულია ესრე: **Святая Тамара Иверская.** სვანთა გადმოცემით, თამარის თმა, როგორც წმიდა ნაწილი, დაკრძალულია ეწერის ტაძარში, იგი ნათლით მოსილი ხატია ქართველთ ყველა წმიდანებთან ერთად სიონის და სხვა ტაძრებში.

2) გარდაიცვალა 29 ივნისს. დღესასწაულად დაუნიშნეს 30 ივნისის დღე, გარნა კონდაკში ჩაწერილია 27 ივნისის რიცხვში.

3) წმ. კვირიკე ფრიად მიღებული წმიდანია სვანეთში და საზოგადოდ მთელს იმერეთში. მისი დღეობა მოდის 15 ივლისს, რომელსაც ამის გამო დაერქვა კვირიკობისთვე.

4) ქართ. ცხ. თანასწორად მოციქულთა იწოდება.

5) იხ. სვინაქსარი საეკკლ. მუზ. № 222, 24 აპრ. ქვეშ.

6) იქვე, 17 ოქტ. ქვეშ.

7) იქვე, 3 ივლ. ქვეშ.

8) იხ. სვინ., № 18 მაისის ქვეშ.

9) თეონას დღეები.

10) მიქელ მოდრეკილის საგალობელში გამოხატულია ნათლით, ვითარცა წმიდანი, მისი ხატი, იხ. მ. ჯანაშვილის წიგნში „შოთა რუსთაველი“.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო თეატრი ფოთში.

ეს იყო სამის კვირის წინად.

ტფილისის ქართული დრამატიული დასი,—რომელიც მოგზაურობდა ვალერიან გუნიას მეთაურობით,—სოხუმიდან რომ ბრუნდებოდა, ფოთის ახალგაზდობამ გზაზე შეაჩერა და სთხოვა ბ-ნ გუნიას კიდევ ერთი წარმოდგენა გაემართა ფოთში და თან სრულს შემოსავალსაც შეჰპირდნენ. მართლაც, თუმცა დრო მეტად მცირე იყო ამ ამბის გასაგრძობად და აფიშებიც ძლივს მოესწრო წარმოდგენისათვის, მაინც იმ საღამოს კლუბის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, რომელიც სიხარულით მოელოდა ქართულს წარმოდგენას.

რა თქმა უნდა, ბ-ნ გუნიას დასი ოლონდაც საინტერესო იყო, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ საინტერესო დასს ფოთში უკვე გაემართა ერთის კვირის წინად ორი წარმოდგენა ზედი-ზედ, ასე რომ დასი მაინცდა-მაინც ვერც ისეთს მომზიდველ ძალას წარმოადგენდა ფოთელებისთვის... ჩვენ ამით ის გვინდა ვსთქვათ, რომ ფოთი და მისნი მკვიდრნი, მისი საზოგადოება და ინტელიგენცია უკვე საკმაოდ მომზადებულია გონებრივ გასართობთათვის და თეატრი ფოთისათვის ამ ჟამად ერთი უსაჭიროესი მოთხოვნილებათაგანია. და არც საკვირველია ესეთი მოთხოვნილება. ფოთი თითქო მკვდრეთით აღსდგაო ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში. შეჩვეული თვალი ადვილად დაინახავს ფოთის მოძრაობაში სიცოცხლის მძლავრ ნიშან-წყალს; ფოთში ფულიც საკმაოდ ტრიალებს; ფოთში ინტლიგენტთა ჯგუფიც თან-და-თან მატულობს და, რაც უფრო საინტერესოა, ფოთში არის ადგილობრივი ახალგაზდობა-მოზარდი თაობა ორისავე სქესისა. ყველა ეს და ბევრი სხვა რამ ფოთში აუცილებელსა ჰყოფს თეატრის არსებობას.

იმ საღამოს არდგენდნენ დიაჩენკოს კომედიის „მსხვერპლისათვის მსხვერპლს“, რომელიც უფრო მელო-დრამასა ჰგავს. პიესა, როგორც მოსალოდნელი იყო, არტისტებმა მწყობრად და ხელოვნურად წარმოადგინეს, რამაც შესაფერი ზედგავლენა იქონია საზოგადოებაზე. პიესას მოჰყვა ვ. გუნიას „დედის ერთა“, რომელშიაც ეგრე შეუდარებელი და ხელოვანია ჩვენი დამსახურებული მსახიობი ქალი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა. წარმოდგენა გათავდა ტაშის ცემით და ვაშას ყვირილით. ახალგაზდობამ განიზრახა სტუმრები ვახშმად მიეწვია, მაგრამ ჩვენმა ქალაქის თავმა და ფოთის აღმაშენებელმა ნიკო ნიკოლაძემ არავის აღ დაუთმო ჩვენი მსახიობნი და თვითვე გაუმასპინძლდა კლუბში. ტკბილსა და მხიარულს ვახშამზე,—რომელსაც, მსახიობთა გარდა, სხვებიც დაესწრნენ და თამადობდა ვალერიან გუნია, რომელსაც ამშვენებდნენ საუცხოვო სიმღერებით ნატო გაბუნია და ბ-ნი ია კარგარეთელი,—ბევრი რამ საგულისხმიერო ითქვა. სხვათა შორის, ბ-ნ ვ. გუნიამ სინანული გამოსთქვა, რომ ფოთში წარმოდგენებისათვის შესაფერი ადგილი არ არის, თუმცა საზოგადოება მომწიფებულია რიგიანი წარმოდგენების მოსასმენადაო და ისურვა, რომ ფოთის ამაღორძინებელის ნიკო ნიკოლაძის შორსმხედველობას არც თეატრი გამოჰპარვოდეს ფოთელების საკეთილდღეოდ. ამაზე პატივცემულმა ნ. ნიკოლაძემ ჩვეულებრივის რწმენისა და დინჯის კილოთი უპასუხა ბ-ნ გუნიას, რომ შემდეგის თქვენის ჩამოსვლის დროსთვის უკვე მზად გექნებათ სახალხო თეატრიო, რომელსაც, უეჭველია, თქვენვე მონათლავთ პირველის ქართულის წარმოდგენის გამართვითაო!.. ამ განცხადებამ საერთო აღტაცება და სიხარული გამოიწვია. ნ. ნიკოლაძის მიერ განზრახულ საზოგადო შენობაში მოთავსდება სახალხო თეატრი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო და სხვა ამ გვარი გონებრივი გასართობი...

ეს იყო ამ სამის კვირის წინედ. ხოლო ერთის წლის შემდეგ ფოთში გვექნება სახალხო თეატრიც. ამის სრული თავდებია პატივცემული ნ. ნიკოლაძის განათლებული და ნიჭიერი მოღვაწეობა ჩვენის ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ...

ფოთელი.

ნარკვევი

იმის გასათვალისწინებლად, თუ რა ნაირად მიტოვებულია სოფელი მოკლე-ვადიან კრედიტის მხრივ, მოვიყვანთ ცალკე საბჭოს წევრის გენერალ-ადიუტანტის ლიხაჩოვის მოხსენებიდან ერთს ადგილს. ბ-ნი ლიხაჩოვი ამბობს „ფინანსთა მოამბეში“:

> ამ ჟამად სულ რაც ფული ტრიალებს ჩვენში საზოგადო მოკლე-ვადიან სესხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არ აღემატება 69 მილიონს მანეთს. ამ სახით თითოეულს მცხოვრებელს აქედან ძლივს შეხვდება დაახლოვებით 54 კაპ. მაშინ როდესაც ამისთანავე საჭიროებისათვის ავსტრიასა და გერმანიაში მუშაობს იმოდენა ფული, რომ თითოეულს მცხოვრებზედ მოდის 8 მან. მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ჩვენშიაც, საცა ასე საჭირო მოკლე-ვადიანი კრედიტი, მეტადრე სოფლად, იმდენივე მოდიოდეს თითოეულს სულზედ, რამდენიც ავსტრიასა და გერმანიაში მოდის, ეს 69 მილიონი უნდა 15-ჯერ გავამრავლოთ, ესე იგი რუსეთში ამ საჭიროებათათვის უნდა იმუშაოს არა 69—70 მილიონმა, არამედ 15-ჯერ მეტმა ფულმა. ეს ფულიც-კი ცოტა იქნება, რადგანაც ის 69 მილიონი აკმაყოფილებს არა სოფლის ხალხს, არამედ ათას წვრილ ვაჭარს, მრეწველთა და ხელოსანს და სოფელს იქიდან ძალიან ნაკლები წილი ხვდება.

ნეტავ, იანგარიშებდეს ვინმე, ჩვენს დალოცვილს აღმოსავლეთ საქართველოში რაოდენი მოდის მოკლე-ვადიან სესხის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ფული თითოეულზედ. არა ვგონებ, რომ კაპიკსა და ორ კაპიკზედ მეტი მოვიდეს. ამ საგნისათვის ხომ ჩვენ ერთად-ერთი სასოფლო-სამეურნეო ბანკი გაგვაჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტფ. სათ.-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს და იმის მიერ გაცემულ მოკლე-ვადიან სესხს მამულების გირაოთი. სამწუხაროდ, ზემოხსენებულს ბანკსაც ჯერ-ჯერობით ძალიან ნაკლებადა აქვს მოწყობილი საქმე მცირე სესხის გაცემისა სოფლად, მეტადრე გლეხ-კაცობაში, რომელიც მევახშეთაგან იღებს ვალს ვექსილით და ხშირად იხდის 50—100—150%-ს.

მოდით და სთქვით ამის შემდეგ, რად არის ქართველობა დაცემული, ხოლო სომხობა—აღმატებული ეკონომიურადაო!

მადლობის გამოცხადება

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ილარიონ პეტრეს ძე მელაძეს და ალექსი ბუჩუს ძე მელაძეს, რომელთაც ინებეს და შემოსწირეს სოფლის მათხოჯის წმიდის ვასილის ეკკლესიას შემდეგი ნივთები: პირველმა—დროშები, ღირებული არა ნაკლებ 50 მანეთისა, ხოლო მეორემ გარდამოხსნა—ღირებული 60 მანეთად.

დ. ზურაბაშვილი.

„ივერიის“ ფოსტა:

ს. ხ—ძეს. თქვენი ლექსი „გლეხი“ არ დაიბეჭდება.

ს. ნოლა. Vict.-ს. თქვენი მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 ივნისი

ჰელსინგფორსი. შესდგა მეორე საზოგადო კრება აქ შემოკრებილ ნატურალისტებისა და მკურნალთა. წაკითხულ იქმნა მოხსენებანი დანიის პროფესორის ტიგერსტედტისა და ნორვეგიის პროფესორის იოჰანსენის მიერ. საზოგადო გამოანგარიშებით რუსეთიდგან მონაწილენი 735 კაცია, მათ შორის ფინლიანდიიდგან 535 კაცი, დანიიდგან—53, ნორვეგიიდგან—156 და შვეციიდგან—200.

ტამბოვი. ივნისის პირველ ნახევარს ტამბოვის მაზრაში სეტყვამა და ძლიერმა შხაპუნა წვიმამ გააფუჭა და გაანადგურა ნათესობა 5136 დესეტინაზედ 217,000 მანეთისა.

რომი. მეფე ვიქტორ-ემანუილი პეტერბურგს გაემართება ვერონის გზით, ინსპრუკსა, მიუნჰენსა, ჰალლესა, პოზნანსა და ჰუმზინენზედ.

27 ივნისი

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ რამდენადმე შეიცვალოს და დამატებულ იქმნას ზოგიერთნი დადგენილებანი წესდებისა საგერბო გადასახადის შესახებ.

სალონიკი. შაბათიდგან დაწყებული ყოველ-დღე მიწის-ძვრას ამჩნევდნენ, ახლა-კი ცოტათი შესუსტდა. მცხოვრებნი დაბრუნდნენ ისევ. ერთის სახლის დაქცევის დროს ორი ბავშვი იქმნა მოკლული.

ლონდონი. დილას გამოვიდა სამკურნალოდგან ჩემბერლენი და წავიდა სახლში ცოლთან ერთად. თავზედ ქუდი არ ეხურა. შეხვეული ჰქონდა.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მოწგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	175 წ. გაყ
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	340
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	175 წვ გაყ

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{50} ც. ფასი მცირეა. კონკა იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (6.—(წლ.

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობა

„შხტა“

აცხადებს ბ-ნთ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ მან დაჰნიშნა 5%-იან შემოტანის ვადად, ესე იგი 5 მანეთისა თითოეულ პაიზედ, 19-დგან 28 ივნისამდე და 28 ივნისიდგან 8 ივნისამდე ჯარიმითურთ თანახმად საამხანაგო ხელ-შეკრულობისა მე-7 §-ისა.

(5—364—3)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნ

მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გა

მოცემული წიგნები:

საემწყემსო ამბები ეგ. გაბაშვილის	„ 3
საქართ. ისტორიის ბროსეს I-II ნაწ.	1 4
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„
სალიტერატურო ქართული. სიტყვანი ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ.
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის.	„ 3
ყოველის მხრიდგან. არბოლის.	„ 1
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 1
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის	„ 5
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	,, 1
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 3
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	,, 5
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 3
Або Тифлисскій, Е. К.	,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 6
გიორგი და მიხეილი	,, 1
რ. აბაშიძის	,, 6
დ. გაბრუაშვილის	,, 2
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილის	,, 4
მუშათა კითხვა	15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყანჩოშვილის	1 ,
Царица Тамара, М. Джанашвили	,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელის.	,,
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ	,,
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,,
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,,
ჩანგი, ვ. აბაშიძის	1
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
კოპერნიკიდან დარვინამდე	,,
განდეგილი, მ. ლელაშვილის	,,
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50
უკვდავთა ლაღადებანი, მ. ჯანაშვილის	,,
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლის	,,
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის	,,
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,,
დედა, ანდერსენის	,,
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	,
კუბიკები ქართულის ანბანის	1 მ.
ლექსები განდეგილის	,,
ეგლოშვილის	,,
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,,
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,,
Давидъ Гареджели, Е. К.	,,
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის	,,
დედე, მოთხრობა.	,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,,
Назрѣвшій вопросъ, К.	,,
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის	,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	,,
ამბავი მადლის ქვისა	,,
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,,
ბენია.	,,
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელის	,,
ბაში-აჩუკი, აკაკის.	,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის	1 მ. ,,
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. ,,
აღმზრდელი, აკაკის	,,
გასართობი	,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	,,
გუსტავ ვაზა	,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	,,
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	,,
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	,,
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძის	1

ავჭალის ქუჩაზე, ყაფნის პირდაპირ,

იაკობ ისარლოვის სახლში

იძლევა ქირით მოწყობილი ვენტილიაციებით და წყალით

ღვინის დიდი სარდაფი,

სადაც ეტევა სამოცი ბოჩკა ღვინო დაზაფხულობით სითბო 14 გრადუსს არ აღემატ

იქვე ქირით იძლევა ერთი მაღაზია.

(3—369—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძ